F 141
1940

უფასოდ

სსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

# კრებული

№ 10 ოქტომბერი 1940 წ.

## შინაარსი

1. ბრძანება № 5434—1940/41 სასწავლო წლიდან არდადეგების, სასწავ. მეოთხედებისა და მეცადინეობის დაწყების დროის განსაზღვრის შესახებ . . . 2
2. ბრძანება № 5436—სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლ. 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ . 3
3. ბრძანება № 5633—1940/41 სასწავ. წელს ნორჩ-ნატურალისტთა შორის მუშაობის შესახებ . . . 7
4. ბრძანება № 5635—ნორჩ ქიმიკოსთა და ფიზიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის მოწყობის შესახებ . . . 8
5. ინსტრუქცია—საკლუბო დაწესებულებათა ბიბლიოთეკების დაკომპლექტების შესახებ . . 10
6. განმარტება—საკლუბო მუშაკთა შეღავათების შესახებ . . . 11
7. განმარტება—მუზეუმების მუშაკთა შეღავათების შესახებ . . . 12
8. დებულება—სასოფლო კლუბთან და ქოხ-სამკითხველოსთან არსებულ საბჭოსი . . . 13
9. ბრძანება № 4364 თბილისის სომხურ-აზერბაიჯანული სამასწავლებლო ინსტიტუტის მუშაობის შესახებ . . . 15
10. დადგენილება—სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 17

F 141
11

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

განსახკომი
თბილისი—1940

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 5434

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წ. 4 ოქტომბერს**

### 1940/41 სასწავლო წლიდან არდადეგების, სასწავლო მეოთხედებისა და მეცადინეობის დაწყების დროის განსაზღვრის შესახებ.

1. მიმდინარე 1940/41 სასწავლო წლიდან დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში სასწავლო მეოთხედების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი ვადებით:

I მეოთხედი—პირველი სექტემბრიდან — ექვს ნოემბრამდე (ჩათვლით).

II მეოთხედი — ცხრა ნოემბრიდან—ოცდაცხრა დეკემბრამდე.

III მეოთხედი თერთმეტი იანვრიდან—ოცდაორ მარტამდე (ჩათვლით).

IV მეოთხედი—ოცდაცხრა მარტიდან — სასწავლო წლის ბოლომდე.

2. სასწავლო წლის განმავლობაში არდადეგები მოეწყოს:

საზამთრო — ოცდაათი დეკემბრიდან — ათ იანვრამდე (ჩათვლით).

საგაზაფხულო — ოცდასამი მარტიდან—ოცდარვა მარტამდე (ჩათვლით).

3. სწავლის დაწყების დროდ დაწესდეს: 1 სექტემბრიდან—1-ლ ოქტომბრამდე — 8½ საათიდან, 1-ლ ოქტომბრიდან — 1-ლ აპრილამდე 9-საათიდან, ხოლო 1-ლ აპრილიდან სასწავლო წლის დამთავრებამდე 8½ საათიდან.

4. განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) უზრუნველჰყონ მეოთხედების განმავლობაში სკოლებში ჩატარებული სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის აღრიცხვა, შეჯამება და მომდევნო მეოთხედში მუშაობის გაუმჯობესებისათვის ღონისძიებათა დასახვა.

5. ყოველი მეოთხედის დასასრულს მოსწავლეებს მიეცეს დაწესებული ფორმის მოწმობა მათი წარმატების შესახებ.

6. მეოთხედის შეჯამებული ანგარიში სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) წარმოუდგინოს განათლების განყოფილებას მეოთხედის დამთავრებიდან სამი დღის ვადაში, ხოლო განათლების განყოფილებამ რაიონის შეჯამებული მასალები განსახკომის სათანადო სამმართველოს 10 დღის ვადაში.

**შენიშვნა:** განსახკომისადმი დღემდე გამოცემული განკარგულებანი და ბრძანებანი ამ საკითხზე გაუქმდეს.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**
**გ. კიკნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 5436

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წ. 4 ოქტომბერს.**

სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, პოლიტგანდაწესებულებების და განსახკომის სისტემის სხვა დაწესებულებათა მიერ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 26 ივნისის ბრძანებულების — „8 საათიან სამუშაო დღეზე და 7-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთათვის თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ“—შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგებზე.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ სკოლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, პოლიტგანდაწესებულებებში (მუზეუმებში, კლუბებში, ბიბლიოთეკებში) და განსახკომის სისტემის სხვა დაწესებულებებში ადგილი აქვს შრომის დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტებს.

1. ზოგ დაწესებულებას სრულებით არა აქვს შედგენილი შინაგანაწესი (ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი — დირექტორი გოგოლიშვილი, ქუთაისის პირველი საბავშვო ბაღი—გამგე დარასელია).

ზოგ დაწესებულებას გასული წლის შინაგანაწესში სსრკ-ს უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 26/VI-ის ბრძანებულების შესაბამისად, საქ. განსახკომისა და საქ. დაწყ. და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ც. კ. ცირკულარული წერილის მიხედვით არავითარი ცვლილება და დამატება არ შეუტანია (ფოთის მოზრდილთა საშ. სკოლა—დირექტორი ჩიხლაძე, ქ. სამტრედიის რუსული საშ. სკ.— დირექტორი—დ. კალაძე, ქუთაისის მე-2 საშ. სკოლა—დირექტორი—ბანძელაძე, საქ. სახელმწიფო მუზეუმი).

რიგ დაწესებულებას შინაგანაწესი შედგენილი აქვს სათანადო შესწორებების და დამატებების შეტანით, მაგრამ ის არაა განხილული და დამტკიცებული შრომის ინსპექტორის მიერ( დიღმის საშუალო სკოლა—დირექტორი კვაჭაძე).

2. არ აწარმოებენ სამუშაოზე თანამშრომელთა გამოცხადების აღრიცხვას: ფოთის მოზრდილთა საშ. სკოლა (დირექტორი — ჩიხლაძე), ვანთის მოზრდილთა საშ. სკოლა (თელავის რაიონი) დირექტორი—ვაჭრიძე, ნასომხარის დაწყ. სკოლა—(თელავის რ.) გამგე ნიკოლაიშვილი.

სამუშაოზე თანამშრომელთა გამოცხადების აღრიცხვა სომხურ-აზერბაიჯანულ სამასწავლებლო ინსტიტუტმა—(დირექტორი ოვანესიანი) შემოიღო დაგვიანებით 11/IX-ს. ზოგან ამ აღრიცხვას არაწესიერად აწარმობენ: ცხაკაიას მე-3 საშ. სკოლაში (დირექტორი — გრიგოლია) სააღრიცხვო წიგნში მასწავლებლები სამუშაოზე გამოცხადების დროს ხშირად არ აწერენ ხელს, ვანთის საშ. სკოლაში სამუშაოზე გამოცხადების შესახებ აბულაძის მაგიერ ხელს აწერს ბოჭორიშვილი;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაა შემოღებული აღრიცხვის ერთიანი ფორმა. საქ. ლიტერატურულ მუზეუმში არავინ არაა გაპიროვნებული ბრძანებით აღრიცხვის საქმეზე, ამიტომ აღრიცხვა არ სწარმოებს წესიერად, თანამშრომელთა სია არაა შედგენილი.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში სამუშაოზე თანამშრომელთა გამოცხადების და სამუშაოდან წასვლის აღრიცხვა ტაბელით სწარმოებს, მაგრამ ეს საქმე ვერ არის სათანადოდ მოწესრიგებული: ტაბელის ნომრები მეტია, ვიდრე თანამშრომელთა რაოდენობა, ტაბელთან არაა თანამშრომელთა სია ნომრების აღნიშვნით.

3. არ არის მოწესრიგებული ზოგან სამუშაო დღის განმავლობაში ცალკეულ დავალებათა შესასრულებლად სამუშაოდან თანამშრომლის წასვლის და დაბრუნების აღრიცხვა, დავალების შესრულების შემოწმება, რაიონის ფარგლებში განათლების განყოფილების მუშაკთა მივლინების გაფორმება და სხვა. ქ. თბილისის მე-17, 26 38 და 79 საშ. სკოლების სამეურნეო მუშაკები დილით სამსახურზე გამოუცხადებლად მიდიოდნენ ბანკში, ან სხვა სამუშაოზე.

სომხურ-აზერბაიჯანული სამასწავლებლო ინსტიტუტის სამნეო ნაწილის გამგე, მოლარე და ბუხჰალტერი დილით არ ცხადდებიან დაწესებულებაში იმ მოტივით, რომ საქმეების გამო სხვაგან მიდიან, ისინი დაბრუნების შემდეგ აწერენ ხელს სააღრიცხვო წიგნში და აღნიშნავენ, რომ გამოცხადდენ 9-საათზე (დირექტორი—ოვანესიანი).

ზესტაფონის რაიონის სასკოლო ინსპექტორის დოგრაშვილის, წერეთლის და გორგაძის მივლინება რაიონის სკოლებში არ იყო გაფორმებული განათლების განყოფილების ბრძანებით.

ზოგჯერ მოცემული ფორმის მიხედვით არ ივსება სააღრიცხვო წიგნი, არ არის აღნიშნული ვისი ნებართვით და რამდენი ხნით წავიდა თანამშრომელი (საბავშვო სათამაშოების მუზეუმი—დირექტორი თუმანიშვილი, სათამაშოების ლაბორატორია—დირექტორი ხაჭაპურიძე, ქუთაისის მე-2 საბ. ბაღი—გამგე კინწურაშვილი, სკოლამდელთა სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი—დირექტორი შუბლაძე).

სულ არა აქვს ცალკე დავალებათა შესასრულებლად წასვლის და დაბრუნების აღრიცხვის წიგნი — სამტრედიის მე-2 საშ. სკოლას (დირექტორი კოპალეიშვილი) ახალციხის განათლების განყოფილებას (გამგე ალიევა), ქუთაისის სკოლამდელი აღზრდის კაბინეტს. ლიტერატურული მუზეუმი არ აწარმოებს თანამშრომელთა წასვლისა და დაბრუნების აღრიცხვას.

4. ჯერ კიდევ ადგილი აქვს სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებას: ქ. ფოთის საშ. სკოლის ხაზვის მასწავლებელმა ჩხაიძემ 10/9-ს დაიგვიანა 7-წუთით, ფოთის რუსული ა.-ს. საშ. სკოლის მასწავლებელმა ანთელავამ, 13/XI-ს დაიგვიანა 17 წუთით, სოფ. დიდი მეჯვრისხევის (გორის რაიონი) საშ. სკოლის მასწავლებელმა ბიბილეიშვილმა და ცარციძემ 2-სექტემბერს დაიგვიანეს 20-20 წუთით სამტრედიის პირველი საშ სკოლის მასწავლებელმა თამარ ხაჟალიამ 29/8-ს დაიგვიანა 10—წუთით.

სახ. უნივერსიტეტში 12/VII-ს 5 წუთით დაიგვიანეს კოპალეიშვილმა, ფალავანდიშვილმა და ბუშკანაძემ 18—წ. 14/XI ლაბორანტმა სერგო მეტრეველმა დაიგვიანა 15 წუთით.

ქ. თბილისის მე-19 და მე-17 საშუალო სკოლებში ადგილი ჰქონდა მუშაობის დაწყების შემდეგაც გაკვეთილზე მასწავლებელთა დაგვიანებით შესვლას, მე-19 საშუალო სკოლაში 7-წუთით, მე17 სკოლაში 5 წუთით.

5. ზოგიერთ სკოლაში და სხვა დაწესებულებებში ადგილი ქონდა გაცდენებსაც: მცხეთის პედკაბინეტის გამგე გრ. ორახელაშვილი დროზე არ გამოცხადდა, გააცდინა სამუშაო, ქ .თბილისის მეოცე სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა ჯოლიამ გააცდინა რამდენიმე დღე, თბილისის მე-96 სკოლის მასწავლებელმა დეკანოსიძემ გააცდინა სამუშაო დღე. სამუშაო გააცდინა სახელმწ. უნივერსიტეტის 2 თანამშრომელმა, სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ სექტორის 1 ლექტორმა, საქართველოს სახ. საჯარო ბიბლიოთეკის 11 თანამშრომელმა და სხვ. (გამცდენები დასჯილნი არიან).

ფოთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის მეც-

ნიერ მუშაკი ჩიკოიძე ცხადდებოდა სამუშაოზე არა 9 საათზე, როგორც დანარჩენი თანამშრომლები მუზეუმისა, არამედ 10-საათზე.

6. ადგილი აქვს ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას—უფასო შვებულების გაცემას: ზესტაფონის პედაგოგიური სასწავლებლის ბუხჰალტერს ნიკოლოზ თუთბერიძეს მიეცა ერთი თვის უფასო შვებულება, უფასო შვებულება მიეცა აგრეთვე ქ. თბილისის აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოგიერთ თანამშრომელს.

7. იყო შემთხვევა, როდესაც ქ. ქუთაისის მეორე საშუალო სკოლის დირექტორმა ბანძელაძემ გაკვეთილების ცხრილი შესცვალა, მაგრამ მასწავლებელ ბარქაიასათვის არ უცნობებია, ამის გამო მასწ. ბარქაიას გაკვეთილი გაუცდა, დირექტორმა მოინდომა ბარქაიას მიცემა პასუხისგებაში.

არა აქვს შედგენილი დირექციის სასწავლო სააღმზრდელო-გეგმები სამტრედიის რუსულ საშ. სკოლას (დირ. დ. კალაძე), არა აქვს კვარტალური სამუშაო გეგმები ახალციხის განათლების განყოფილებას (გამგე ალიევა), ახალციხის რაიპედკაბინეტს (გამგე ალბერტიანი), რაც შეუძლებელს ხდის დროის რაციონალურად გამოყენებას, მის შემჭიდროებას და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლას.

გამომდინარე აქედან **ვბრძანებ:**

1. სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს 1940 წ. 26/VI-ის ბრძანებულების შესასრულებლად არა საკმაო ღონისძიებების მიღებისათვის (აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, შინაგანაწესის უქონლობა და სხვ.) საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორს ამხ. ლეონიძეს და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს ამხ. ლ. ჭანტურაიას, მიეთითოს.

2. მიეთითოს, ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს გოგოლიშვილს, ფოთის მოზრდილთა სკოლის დირ. ჩიხლაძეს, ქუთაისის 1- საბ. ბაღის გამგეს დარასელიას, სამტრედიის რუსული საშუალო სკოლის დირ. დ. კალაძეს, ქუთაისის მე-2 საშ. სკოლის დირექტ. ბანძელაძეს [illegible] საშ. სკოლის დირექტორს კვაჭაძეს იმისათვის, რომ მიუხედავად განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა დღემდის არა აქვთ შედგენილი დაწესებულების შინაგანწესი.

ეროვნული

3. ვაფრთხილებ ვანთის მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორს ვაჭრიძეს, ნასომხარის დაწყ. სკოლის (თელავის რ.) გამგეს ნიკოლაიშვილს, თბილისის სომხურ-აზერბაიჯანულ სამასწ. ინსტიტუტის დირექტორ ოვანესიანს, ცხაკაიას მე-3 საშ. სკოლის დირექტორს გრიგოლიას, ქუთაისის მე-2 საბ. ბაღის გამგეს კინწურაშვილს, თუ ისინი სასწრაფოდ არ გამოასწორებენ სამუშაოზე თანამშრომელთა გამოცხადების, დავალებათა შესასრულებლად დაწესებულებიდან წასვლის და დაბრუნების აღრიცხვას, მათ წინაამდეგ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

4. გამოეცხადოს საყვედური ქუთაისის მე-2 საშ. სკოლის დირექტორს ბანძელაძეს იმისათვის, რომ გაკვეთილების ცხრილი შესცვალა, მასწავლებლებს ეს არ აცნობა დროულად, რასაც შედეგად მოჰყვა მასწავლებელ ბარქაიას მიერ გაკვეთილის გაცდენა.

5. მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. ბ. კიზირიას განცხადება იმის შესახებ, რომ ფოთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის მეცნ. მუშაკის ჩიკოიძის საქმე გადაეცა სასამართლოს.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სახ. მუზეუმის დირექტორს, აკ. წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის გამგეს და ზესტაფონის რ. განათლების განყოფილების გამგეს არ დაუშვან ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა—უფასო შვებულების გაცემა.

7. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და სხვა დაწესებულებებმა შემოიღონ სამუშაოზე გამოცხადების ერთიანი ფორმა და გააპიროვნონ ამ საქმეზე სპეციალური მუშაკი.

8. ვაფრთხილებ სკოლების დირექტორებს (გამგეებს), სკოლამდელი აღზრდის, პოლიტგანდაწესებულებათა და განსახკომის სისტემის ყველა დაწესებულების და წარმოების ხელმძღვანელებს, რომ სამუშაოზე თანამშრომელთა გამოცხადების, სამუშაოდან წასვლის, ცალკეული დავალებათა შესასრულებლად წასვლის და დაბრუნების, შვებულებიდან და მივლინებებიდან დაბრუნების აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, სამუშაო დროის სრული დატვირთვით და რაციონალურად გამოყენებისათვის არა სათანადო ყურადღების მიქცევა, არის ხელის შეწყობა გაცდენისათვის და დროის გაფლანგვისათვის, რისთვისაც დამნაშავეთა მიმართ მიღებული იქნება კანონით გათვალისწინებული მკაცრი ზომები.

9. რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა), სკოლამდელი აღზრდის და პოლიტგანდაწესებულებათა ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ უზრუნველჰყონ შინაგანაწესებში ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 26 ივნისის ბრძანებულების და ამ ბრძანების საფუძველზე განსახკომის დაწყ. და საშ. სკოლების მუშ. კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ დაშვებული განკარგულების შესაბამისად.

10. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) უზრუნველჰყონ სკოლების და სხვა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამუშაო გეგმების გადასინჯვა, შევსება და შესწორება განსახკომის 1940 წლ. 21 მაისის ბრძანებისა (იხ. კრებული № 5-6 1940 წ.) და ინსტრუქციების მიხედვით.

ბ) დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან ერთად გადაჭრით გააუმჯობესონ და გარდაქმნან მასიურ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა შორის და ლიკვიდაცია უყონ სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების და გაცდენის შემთხვევებს.

11. წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელებმა თანახმად სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილებისა მასალები იმ პირთა შესახებ, რომლებიც გააცდენენ სამუშაოს, ან თვითნებურად წავლენ სამუშაოდან, გადასცენ უშუალოდ იმ სახალხო სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე იმყოფება დაწესებულება, სადაც მუშაობდა გამცდენი და დაუყოვნებლივ მოიყვანონ სისრულეში სასამართლოს დადგენილება.

12. აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის საოლქო განათლების განყოფილებამ, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებმა, განსახკომის სისტემის სკოლებისა და სხვა დაწესებულებათა დირექტორებმა და გამგეებმა შეამოწმონ სსრკ — უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობა და გაატარონ სათანადო ღონისძიებები ამ ბრძანებულების სრულად და ურყევად შესრულების უზრუნველსაყოფად.

13. დაევალოს განსახკომის სამმართველოებისა და განყოფილებათა ინსპექტორებს რაიონებში მივლინების დროს, შეამოწმონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობა და და ამ ბრძანებულების დამახინჯების, ან შეუსრულებლობის ყოველ ცალკე შემთხვევის შესახებ მომახსენონ პირადად მე.

**საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი**
**გ. კიკნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 5633

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 15 ოქტომბერი**

## 1940/41 წელში ნორჩ-ნატურალისტთა შორის მუშაობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1940 წელში ნორჩ-ნატურალსტთა შორის მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო საგამოფენო კომიტეტის მიერ გამოფენის მონაწილედ დამტკიცებულია 988 ნორჩი ნატურალისტი, 72-წრე და 6 სკოლისგარეშე დაწესებულება.

ნორჩ-ნატურალისტთა შორის კარგი მუშაობა ჩაატარეს თბილისის ნორჩ-ნატურალისტთა სადგურმა, სოხუმის, ოჩამჩირის, თბილისის ლენინის რაიონის და ბათუმის ბავშვთა ტექნიკურმა სადგურებმა, ნორჩი-ნატურალისტების რიცხვი განსაკუთრებით იქნა გაზრდილი ლანჩხუთის, აბაშის, სამტრედიის, ოჩამჩირის და აჭარის ავტონომიურ სსრ-ის რაიონებში, მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად მთელი რიგი რაიონებისა და ქალაქების (ყაზბეგი, ვანი ,ბაშკიჩეთი, ყვარელი), განათლების განყოფილებათა გამგეებმა არ გაატარეს საჭირო ღონისძიებანი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მოსწავლეთა და პიონერთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად არსებულ ნორჩ-ნატურალისტთა წრეებში სუსტად დგას მოსწავლეთა სასოფლო-მეურნეობის დარგში პრაქტიკული მუშაობის დაკავშირება მეცნიერებათა საფუძვლების სწავლებასთან, ზოგჯერ ასეთი კავშირი კი უგულებელყოფილია.

გამომდინარე აქედან ვბრძანებ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ების განსახკომებს, სამხრეთ ოსეთის ავტოლქისა და რაიონების და ქალაქების განათლების განყოფილებებს, ფართოდ გაიხილონ სკოლების დირექტორთა, (გამგეთა) სასწავლო ნაწილის გამგეთა აგრონომთა, ბუნებისმეტყველ და ქიმიკოს მასწავლებელთა შორის „საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში პიონერთა და მოსწავლეთა მონაწილეობის ინსტრუქცია" და დასახონ საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი სკოლებში ნორჩ-ნატურალისტთა წრეების მუშაობის გასაუმჯობესებლად, 1941 წელში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ნორჩ-ნატურალისტ ბავშვთა ფართო მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. (ინსტრუქცია საქართველოს განსახკომის მიერ გამოცემულია ცალკე წიგნად 1939 წ. და მოთავსებულია განსახკომის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულში (1939 წ. № 9—10).

2. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) გაშალონ ნორჩ-ნატურალისტთა წრეების მუშაობა, უზრუნველჰყონ ბიოლოგიის მასწავლებელთა ფართო მონაწილეობა ამ საქმეში, სისტემატური ზედამხედველობა დააწესონ მათ მუშაობაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ ცალკეულ ნორჩ-ნატურალისტ ბავშვთა პრაქტიკული მუშაობა არ იქნეს მოწყვეტილი სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობისაგან, მიიღონ ყველა საჭირო ზომები იმისათვის, რომ ნორჩ-ნატურალისტ ბავშვთათვის სკოლის ნაკვეთებზე სათანადო მიწის ნაჭრები იქნეს გამოყოფილი, იმ სკოლებში, სადაც ნორჩ-ნატურალისტ ბავშვთა წრეები არ არსებობენ, უზრუნველყოფილი იქნეს ასეთი წრეების ჩამოყალიბება.

3. დაევალოს ბავშვთა ტექნიკური სადგუ-

რის დირექტორებს, პიონერთა კლუბებისა და საბავშვო სახლთა გამგეებს, ფართოდ გააცნონ ბავშვებს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში პიონერთა და მოსწავლეთა მონაწილეობის ინსტრუქცია, ენერგიულად იბრძოლონ იმისათვის, რომ 1941 წელში სკოლის გარეშე ობიექტებმა და საბავშვო სახლებმა ფართო მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

4. დაევალოს თბილისის ნორჩ-ნატურალისტთა სადგურს უხელმძღვანელოს თბილისის სკოლებში არსებულ ნორჩ-ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელებს და გაუზიაროს მათ თავისი გამოცდილება.

5. განსახკომის საშუალო სკოლების სამმართველომ:

ა) მხატვრული აღზრდის და სკოლის გარეშე მუშაობის კაბინეტის და თბილისის ნორჩ-ნატურალისტთა სადგურის მონაწილეობით, შეადგინოს და რაიონების სკოლებს მიაწოდოს წერილები, ნორჩ-ნატურალისტთა საუკეთესო წრეების მუშაობის გამოცდილების შესახებ.

ბ) მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე რაიონის სკოლებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით შეარჩიოს და გაგზავნოს რესპუბლიკის 10 რაიონში გამოცდილი მუშაკები. შემოწმების შედეგები იქნეს განზოგადებული და დაყვანილი ყველა სკოლამდე.

6. გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის“ რედაქციამ გააშუქოს 1941 წელში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე პიონერთა და მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხები.

**განათლების სახალხო კომისრის მოადგილე**
**ბ. კიზირია**

---

# ბრძანება № 5535

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წ. 15 ოქტომბერს**

### ნორჩ ქიმიკოსებისა და ფიზიკოსების რესპუბლიკური ოლიმპიადის მოწყობის შესახებ.

მოსწავლე ბავშვთა შორის ქიმიისა და ფიზიკისადმი ინტერესის გაძლიერებისა, საუკეთესო ნორჩ-ქიმიკოსებისა და ფიზიკოსების გამომჟღავნებისა და მომავალში მათთვის დახმარების საქმის უკეთ ორგანიზაციის მიზნით **ვბრძანებ:**

I. დაკმაყოფილებულ იქნას საქ. სსრ ბავშვთა ტექნიკური სადგურის მოთხოვნა 1940 წლის 15 ნოემბრიდან 1941 წლის 15-აპრილამდე, ნორჩ-ქიმიკოსებისა და ნორჩ ფიზიკოსების რესპუბლიკური ოლიმპიადის მოწყობის შესახებ.

II. ნორჩ ქიმიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით:

1. ბურჭულაძე მარიამ (განათლების სახ. კომისრის მოადგილე—თავმჯდომარე),
2. ეპიტაშვილი გიორგი (ბავშვთა ცენტრ. ტექნიკური სადგურის დირექტორი—კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ).
3. კლიმიაშვილი მაგდა (ბ.ც.ტ. სადგურის ლაბორატორიის გამგე).
4. არაქელოვი ვანო (საქ. ალკკ ცენტრ. კომ.).
5. ჯაფარიძე არჩილ (განსახკომის საშ. სკოლის სამმართველო).
6. რატიანი დავით (თბილისის პედკაბინეტი).
7. ნიკოლაძე რუსუდან (საქ. ინდუსტრიალური ინსტ. ქიმიის კათედრის გამგე—პროფესორი).

8. ძიძაძე სტეფანე (მენდელეევის საზოგადოება, სასკ. სექ.).

9. ჯაფარიძე ელენე (მენდელეევის საზ-ბა, სასკოლო სექცია).

10. გოგორიშვილი პლატონ (ქიმიურ-ფარმაცევტიული ინსტიტუტის დოცენტი).

11. მამულაიშვილი ოლია (მე-5 რკინის გზის საშ. სკოლა).

12. ჯანიაშვლი მათე (ბ. ტ. სადგურის ქიმიკოსი).

13. ურუშაძე იგორ. (მხატვრული აღზრდისა და სკოლის გარეშე მუშაობის კაბინეტი).

14. დარსალია ქეთო (განსახკომის სკოლის გარეშე ინსპექტორი).

III. ნორჩ-ფიზიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტი დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით:

1. ბურჭულაძე მარიამ (განსახკომის მოადგილე—თავ-რე).

2. ეპიტაშვილი გიორგი (ბ. ც. ტექნიკური სადგურის—თავ-რის მოადგილე).

3. არაქელოვი ვანო (საქ. ა.ლ.კ.კ. ცენტრ. კ.)

4. შაპოშნიკოვი ვლადიმერი მე-65—საშუალო სკოლა).

5. იაშვილი შოთა (განსახკომის საშ. სკოლის სამმართველო).

6. დიდებულიძე ალექსანდრე (ინდუსტრალური ინსტიტუტი—პროფესორი).

7. კობახიძე ვალიკო (მასწავლებელთა დახელ. ინსტიტუტი).

8. ვეფხვაძე ტერენტი (სახელ. უნივერსიტეტი).

9. მირიანაშვილი მათე (სახ. უნივერსიტეტი).

10. ირაშენკო ლექსანდრე (მე-47 საშ. სკოლა).

11. გულფაიანი ვაგან (მე-36 საშუალო სკოლა).

12. ქარუმიძე იოსებ (თბილისს პედ. კაბინეტი).

13. ურუშაძე იგორ. (მხატვრული აღზრდისა და სკოლის გარეშე მუშაობის კაბინეტი).

IV. დაევალოს ნორჩ-ქიმიკოს და ფიზიკოსთა ოლიმპიადის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტებს, უხელმძღვანელონ ოლიმპიადის ჩატარებას და პერიოდულად წარმოადგინონ მასალები განსახკომში ცალკე ტურის მიხედვით.

5. ნორჩ-ფიზიკოსთა და ნორჩ-ქიმიკოსთა ოლიმპიადის ჩატარების ინსტრუქცია დამტკიცდეს.

6. დაევალოს არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორებს ჩაატარონ მე-7-8-9-10 კლასებში ახსნა-განმარტებითი მუშაობა და უზრუნველჰყონ (იქ სადაც დღემდე არ არის) ნორჩ-ფიზიკოსთა და ქიმიკოსთა წრეების ჩამოყალიბება, სადაც ხელმძღვანელად გამოყოფილი იქნეს ამავე საგნის მასწავლებლები.

7. დაევალოს ბ. ცენტრალურ ტექნიკურ სადგურს დროულად ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა და რაიონები უზრუნველჰყოს საჭირო სახელმძღვანელოებითა და ინსტრუქციებით.

8. დაევალოს მხატვრული აღზრდისა და სკოლის გარეშე მუშაობის კაბინეტს, გაშალოს თავის მხრივ მუშაობა და მისცეს სისტემატურად კონსულტაცია ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებს ოლიმპიადაში მათი მონაწილეობის შესახებ.

9. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხ. ოსეთის ავტონომ. ოლქის საოლქო, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებს, 25-ოქტომბრამდე მოიწვიოს ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებელთა სარაიონო შეკრება და გააცნონ მათ. ნორჩ-ფიზიკოსებისა და ნორჩ-ქიმიკოსების რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ—ინსტრუქცია-მოწოდება და აღნიშნული ბრძანება და დასახონ ღონისძიებანი საჭირო მუშაობის ჩასატარებლად.

საფუძველი: კოლეგიის 4 ოქტომბრის დადგენილება.

**განათლების სახ. კომისარი ბ. ძიძაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინსტრუქცია

## საკლუბო დაწესებულებათა ბიბლიოთეკების დაკომპლექტების შესახებ

1. ყველა საკლუბო დაწესებულებაში (კულტურის სახლში, სარაიონო, სასოფლო, საკოლმეურნეო კლუბებსა, ქოხ-სამკითხველოებსა და წითელ კუთხეებში), განურჩევლად იმისა, არის თუ არა მასში სპეციალურად გამოყოფილი ბიბლიოთეკარი, უნდა იყოს შესაფერისად დაკომპლექტებული წიგნობრივი ფონდი.

2. ამ ფონდის დანიშნულებაა:

ა) მოამარაგოს საკლუბო დაწესებულების მუშაკები და აქტივისტები მათი მუშაობისათვის საჭირო ლიტერატურით;

ბ) მოემსახუროს ფართო მოსახლეობას წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით.

3. წიგნობრივი ფონდის დაცვისათვის, როგორც საერთოდ საკლუბო დაწესებულების მთელი ქონების დაცვისათვის, პასუხისმგებელია საკლუბო დაწესებულების გამგე. საბიბლიოთეკო მუშაობას და წიგნობრივ ფონდს უშუალოდ განაგებენ:

ა) ბიბლიოთეკარი, თუ საკლუბო დაწესებულების შტატში არის ასეთი თანამდებობა;

ბ) თვითონ გამგე, თუ შტატში არ არის არის ცალკე ბიბლიოთეკარი;

საკლუბო დაწესებულების ბიბლიოთეკას ისე, როგორც კლუბის მუშაობის სხვა დარგში, უნდა ჰყავდეს მკითხველი აქტივისტები, რომლებიც დაეხმარებიან მას წიგნების მოვლაში და მკითხველთა მომსახურებაში.

4. საკლუბო დაწესებულების ბიბლიოთეკაში უსათუოდ უნდა იყოს გამოწერილი გაზეთები და ჟურნალები, თანახმად იმ სანიმუშო სიისა, რომელიც განსახკომის საკლუბო სამმართველოსთან არსებული პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის მეთოდკაბინეტის მიერ ადგილებს ეგზავნება ყოველ წელს ხელისმოწერის პერიოდში. ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა დამოკიდებულია საკლუბო დაწესებულების ბიუჯეტსა და მუშაობის მოცულობაზე.

5. ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის დაკომპლექტებას პოლიტიკური ლიტერატურით. ყველა საკლუბო დაწესებულებაში უნდა იყოს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებნი. მარქსისა და ენგელსის შრომები. აუცილებლად უნდა იყოს ლენინის ექვსტომეული და სტალინის „ლენინიზმის საკითხები" (მე-11 გამოცემა) და სხვა მისი შრომები. უნდა იყოს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", საკ. კ. პ. (ბ) პროგრამა და წესდება, კომინტერნის წესდება, სალკკ პროგრამა და წესდება, საკ კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების რეზოლუციები და დადგენილებანი, სტალინური კონსტიტუციის, საარჩევნო კანონისა და მშრომელთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულებანი, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება, მთავრობის განკარგულებანი, კანონთა კოდექსები და სხვა. წიგნობრივ ფონდში უნდა იყოს საუკეთესო პოპულარულ-მეცნიერული და მასობრივი წიგნები ტექნიკის, ზუსტ მეცნიერებათა, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგებიდან, უნდა იყოს აგრეთვე საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებნი.

6. საცნობო-საკონსულტაციო მუშაობის გაშლისათვის საჭიროა, რომ გარდა ზემოდასახელებული ლიტერატურისა, საკლუბო დაწესებულებაში იყოს აგრეთვე საცნობო წიგნები, როგორც მითითებულია ბროშურაში „საცნობო მუშაობა" (განსახკომის გამოცემა).

7. ლიტერატურის შეძენა უნდა წარმოებდეს სისტემატურად, მთელი წლის განმავლობაში. დაკომპლექტების ძირითადი წყარო არის საბიბლიოთეკო კოლექტორი (თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 41), რომელთანაც საკლუბო დაწესებულებამ უნდა იქონიოს კავშირი და ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინოს მისგან ლიტერატურა.

8. იმ შემთხვევაში, თუ ლიტერატურის შესაძენი თანხა ბიბკოლექტორს გადაერიცხა, თანხის ნაწილი უნდა დარჩეს საკლუბო დაწესებულებაში მიმდინარე პოლიტიკური ლიტერატურის (ბროშურების) დროულად შეძენის მიზნით.

9. ჟურნალებზე და გაზეთებზე ხელი უნდა მოაწეროს უშუალოდ საკლუბო დაწესებულებამ, „სოიუზპეჩატის" უახლოეს განყოფილებაში ან ფოსტის კანტორაში.

10. შეძენილი ლიტერატურა უნდა აღირიცხოს და შემუშავდეს თანახმად განსახკომის „ინსტრუქციისა საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვისა და დაცვის შესახებ" (1938 წ.).

**საკლუბო-სამუზეუმო სამმართველოს**
**უფროსი ა. ბაბისონია**

---

# განმარტება

## საკლუბო მუშაკთა შვებულებების შესახებ

ადგილებიდან შემოსულ მთელ რიგ შეკითხვების გამო საკლუბო დაწესებულებათა მუშაკებისათვის შვებულებათა ხანგრძლივობის შესახებ საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი და პოლიტგანმუშაკების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა განმარტავენ: საფინანსო კულტსახლებისა და სარაიონო კლუბებში 24 სამუშაო დღის ხანგრძლივობით შვებულება უნდა ეძლეოდეს კულტსახლების (სარ. კლუბების) დირექტორებს (გამგეებს), პოლიტგანმუშაობის მეთოდკაბინეტების გამგეებს და მეთოდისტებს, მასობრივ მუშაკებს, ინსტრუქტორ - რეჟისორებს, თვითმოქმედ წრეების ხელმძღვანელებს, ბუხჰალტრებს და ბიბლიოთეკარებს. ნორმირებულ მუშაკებს ეძლევათ 12 სამუშაო დღე, ხოლო დანარჩენ არანორმირებულ მუშაკებს, ადმინისტრაციის შეხედულებით, შესაძლებელია მიეცეს მორიგი შვებულება 24 სამუშაო დღემდე.

**სასოფლო კლუბებსა და ქოხსამკითხველოებში** 24 სამუშაო დღის ხანგრძლივობით შვებულება ეკუთვნის სას. კლუბების (ქოხ. სამკითხველოების) გამგეებსა და ბიბლიოთეკარებს.

**საქ. სსრ განსახკომის მოადგილე**
**მ. ბურჭულაძე**

**პოლიტგანმუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის შრომის ინსპექტორი**
**კაჭარავა**

---

[library stamp]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განმარტება

## ცენტრალური და რაიონული მუზეუმების მუშაკთა შვებულებების შესახებ

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატში შემოსულ შეკითხვების გამო ცენტრალური სახელმწიფო და რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების მუშაკთათვის მორიგ შვებულებათა ხანგრძლივობის შესახებ, განათლების სახალხო კომისარიატი და პოლიტგანმუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა განმარტავენ:

1. განათლების სახ. კომისარიატის ცენტრალურ ხელმძღვანელ მუზეუმებად საქართველოს სსრ-ში ითვლებიან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რუსთაველის ეპოქის, სახელმწიფო ლიტერატურული, საქ. ანტირელიგიური, საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ქალაქ თბილისის, აჭარის და აფხაზეთის ასსრ მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, სამხრეთ-ოსეთის ა/ო. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმ.ი

1. **ცენტრალური მუზეუმის** მეცნიერ მუშაკებს უნდა ეძლეოდეთ მორიგი შვებულებები შემდეგი ხანგრძლივობით:

ა) **48 სამუშაო დღე:** უფროს მეცნიერ მუშაკებს, სწავლულ მდივნებს, პირველ კატეგორიის ბიბლიოთეკარებს, მუზეუმის დირექტორებს, თუ ისინი უშუალოდ აწარმოებენ მეცნიერულ მუშაობას.

ბ) **24 სამუშაო დღე:** უმცროს მეცნიერ მუშაკებს ,ექსკურსიის გამყოლთ-მეთოდისტებს, ტაქსიდერმისტებს, სეიფების გამგეებს, მუზეუმის ფონდების გამგეს, უფროს ლაბორანტებს, ფოტო-ლაბორატორიების გამგეებს და ბიბლიოთეკარებს.

გ) დანარჩენ არანორმირებულ მუშაკებს, დირექტორის შეხედულებით შესაძლებელია მიეცეს 24 სამუშაო დღემდე.

დ) ნორმირებულ მუშაკებს მორიგი შვებულება ეძლევათ 12 სამუშაო დღის ხანგრძლივობით.

2. **რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების** და მუზეუმ-სახლების მეცნიერ მუშაკებს ეძლევათ შვებულება შემდეგი ხანგრძლივობით:

ა) **36 სამუშაო დღე**—უფროს მეცნიერ მუშაკებს, სწავლულ მდივნებს, აგრეთვე დირექტორებს, თუ ისინი მეცნიერ მუშაობას აწარმოებენ;

ბ) **24 სამუშაო დღე**—უმცროს მეცნიერ მუშაკებს, ექსკურსიის გამყოლებს, მუზეუმის ფონდების გამგეს, ბიბლიოთეკების გამგეებს;

გ) დანარჩენ, არანორმირებულ მუშაკებს, დირექტორების შეხედულებით შეიძლება მიეცეთ შვებულება 24 სამუშაო დღემდე;

დ) ხოლო ნორმირებულ მუშაკებს შვებულება ეძლევათ 12 სამ. დღის ხანგრძლივობით.

3. ყველა მუზეუმის დირექტორებს, რომლებიც მეცნიერულ მუშაობას არ აწარმოებენ, ეძლევათ მორიგი შვებულება 24 სამუშაო დღის ხანგრძლივობით.

განათლების სახ. კომისრის მოადგილე

მ .ბურჭულაძე

საქ. პოლიტგანმუშაკების პროფკავშ. ცენტრ. გამგეობის შრომის ინსპექტორი

ა. ქაჭარავა

# დებულება*

## სასოფლო კლუბთან და ქოხ-სამკითხველოსთან არსებული საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. იმ მიზნით, რომ სოფლის კულტურულმა ძალებმა და საზოგადოებრივობამ ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სასოფლო კლუბისა და ქოხ-სამკითხველოს პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობას, ორგანიზებულ იქნას სასოფლო კლუბისა და ქოხ-სამკითხველოს ირგვლივ აქტივი და გაძლიერდეს საზოგადოებრივი კონტროლი, თვითეულ სასოფლო კლუბთან და ქოხ-სამკითხველოსთან არსდება საბჭო ადგილობრივი ორგანიზაციების, ინტელიგენციისა და კოლმეურნეების წარმომადგენელთაგან.

2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სასოფლო კლუბის ან ქოხ-სამკითხველოს გამგე, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს, საკ. კ. პ. (ბ), ალკკ ადგილობრივი ორგანიზაციების, თავდაცვა-ავიაქიმის, მებრძოლ ურმერთოთა კავშირის, რემედასის, ადგილობრივი ორგანიზაციების, კოლმეურნეობების გამგეობათა წარმომადგენლები და მასწავლებლები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები და სამედიცინო მუშაკები, რომლებიც აირჩევიან კოლმეურნეთა და პროფკავშირული ორგანიზაციების საერთო კრებაზე.

სასოფლო კლუბისა და ქოხ-სამკითხველოს საბჭოს წევრთა საერთო რიცხვი უნდა იყოს არანაკლებ 9 და არა უმეტეს 17 კაცისა.

3. სასოფლო კლუბისა და ქოხ-სამკითხველოს საბჭო იქმნება ერთი წლის ვადით.

სასოფლო კლუბისა და ქოხ-სამკითხველოს საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო.

სასოფლო კლუბისა და ქოხ-სამკითხველოს საბჭოს თავმჯდომარედ ითვლება სასოფლო კლუბის ან ქოხ-სამკითხველოს გამგე.

4. სასოფლო კლუბისა და ქოხ-სამკითხველოს საბჭო:

ა) აბამს სასოფლო კლუბისა და ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში მშრომელთა ფართო აქტივსა და სოფლის კულტურულ ძალებს;

ბ) იხილავს სასოფლო კლუბისა და ქოხ-სამკითხველოს სამუშაო გეგმას, თავის სხდომებზე არჩევს სასოფლო კლუბის და ქოხ-სამკითხველოს პრაქტიკული მუშაობის საკითხებს პარტიული და საბჭოთა ორგანოების და სახალხო განათლების განყოფილების მიერ სოფლად პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის დაყენების შესახებ მიცემულ მითითებათა შესრულების დარგში;

გ) ისმენს სასოფლო კლუბის ან ქოხ-სამკითხველოს გამგის, საბჭოს ცალკეული წევრების, წრეების ხელმძღვანელებისა და წითელი კუთხეების გამგეების მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ;

დ) ხელს უწყობს სოციმეჯიბრების გაშლის ორგანიზაციას კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოს კულტურულ ძალებს შორის მასობრივი პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის უკეთესად დაყენების მიზნით,

ე) განათლების სარაიონო განყოფილების ტიპიური პროექტის საფუძველზე იხილავს სასოფლო კლუბისა და ქოხ-სამკითხველოს შინაგანაწესს და აწესებს საბჭოს წევრთა მორიგეობას სასოფლო კლუბში ან ქოხ-სამკითხველოში;

ვ) თვალყურს ადევნებს სასოფლო კლუბის და ქოხ-სამკითხველოს ბიუჯეტის შესრულებას, ქონების დაცვა-შენახვას, შენობის დროზე შეკეთებას და სასოფლო კლუბსა და ქოხ-სამკითხველოში წესრიგისა და სისუფთავის დაცვას.

5. სასოფლო კლუბისა და ქოხ-სამკითხველოს საბჭოს წევრები აწარმოებენ პრაქტიკულ მუშაობას კლუბში (ქოხ-სამკითხველოში), აგრეთვე კოლმეურნეობებსა, ბრიგადებსა და წითელ კუთხეებში, ურთიერთშორის ანაწილებენ მოვალეობებს სასოფლო კლუბისა და ქოხ-სამკითხველოს მუშაობის

ცალკეული უბნების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის დარგში, როგორიცაა: სამხედრო-თავდაცვითი, აგროზოოტექნიკური, ანტირელიგიური, სანიტარულ-საგანმანათლებლო, საცნობო-საკონსულტაციო, სათვითგანათლებო, სალექციო მუშაობა, მხატვრული თვითმოქმედება, წიგნების გაცემა, ხმამაღალი კითხვა-საუბრების ჩატარება, რადიო-გადაცემათა მოსმენა, კინო-სურათების ჩვენება და სხვ.

6. სასოფლო კლუბისა და ქოხ-სამკითხველოს საბჭო თავის მუშაობაზე კვარტალში ერთხელ ანგარიშს აბარებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს წევრები თავიანთ მუშაობაზე ანგარიშს აბარებენ იმ ორგანიზაციებს, საიდანაც წარმოგზავნილი არიან საბჭოში. საბჭოს უმოქმედო წევრები თავიანთი ორგანიზაციების მიერ შეიძლება ვადაზე ადრე იქნან გაწვეული და სხვებით შეცვლილი.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 4364

## ПО НАРОДНОМУ КОМИССАРИАТУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГССР
26 августа 1940 г.

## О РАБОТЕ ТБИЛИССКОГО АРМЯНО-АЗЕРБАЙДЖАНСКОГО УЧИТЕЛЬСКОГО ИНСТИТУТА

Обследованием установлено, что в работе Армяно-Азербайджанского учительского Института имеются существенные недостатки и грубые нарушения, что выражается в следующем:

1. Большинство лиц профессорско-преподавательского состава работает по совместительству, что не обеспечивает в должной мере повседневного руководства учебной работой студентов.

2. Учебная часть и деканы факультетов очень слабо руководят учебной и научно-исследовательской работой Института. Совет Института, факультеты и кафедры не обсуждают учебно-методических и научных вопросов, в результате чего выполнение учебного плана на низком уровне.

а) На факультете языка и литературы не читался курс педагогики, взамен чего был введен курс всеобщей литературы.

б) По истории народов СССР лектор Геворкян не выполнил программы (не читал истории Грузии—30 ч.).

в) По русскому языку (лектор Мамиконян) программа выполнена недоброкачественно.

г) На обоих секторах программа по элементарной математике не выполнена на 20 часов.

д) По математическому анализу имеется отставание на 30 часов.

е) По общей физике (лектора Аваков и Алиев) имеется отставание на 22 часа и т. д.

3. Тематический план научно-исследовательской работы не продуман и требует коренной перестройки. Тематика научно-исследовательских работ составлена без учета реальных возможностей ее осуществления и несоразмерно с силами кафедр.

4. В инстуте не проводится проверка исполнения научно-исследовательской работы отдельных кафедр и научных работников, в результате чего в Институте выполнение планов научно-исследовательской работы сорвано. Так, например, тематика научно-исследовательской работы предусматривает составление учебника по армянской литературе, который должен был представить лектор Оввян Погос Гаврилович к 1/VI-1940 г. По сей день эта работа не выполнена, а дирекция Института даже не в курсе дела о состоянии составления учебника. Также Хачатурян не составил монографии по истории критики литературы и не написал диссертационной работы на ученую степень кандидата наук на тему: «Максим Горький и армянская литература» и т. д.

5. Кафедра основ марксизма-ленинизма плохо развернула работу по поднятию учебного процесса:

а) Кафедра не имеет четкого календарного плана семинарских занятий.

б) Организация самостоятельной работы студентов по краткому курсу истории ВКП(б) и произведениям классиков марксизма-ленинизма очень слаба.

в) Не практикуется систематическое посещение лекций руководителем кафедры и преподавателями, обсуждение на заседании кафедр результатов этих посещений, слушание отчетов преподавателей, разработка и обсуждение предварительных планов лекций.

г) Кафедра не оказывает помощи профессорско-преподавательскому составу Института в изучении марксистско-ленинской теории путем организации лекций, консультаций, проведения теоретических конференций и т. п.

д) Некоторые члены кафедры (лектор Хачатурян и лектор Георкян) проявляют либерализм при экзаменах.

е) Методическое руководство со стороны зам. директора по учебной и научной части

(тов. Халилов) не осуществляется, вследствие чего кафедра сама решает сложные учебно-методические вопросы, что неизбежно приводит к разнобою, путанице и т. д.

Аналогичное состояние в остальных кафедрах.

6. Не налажен систематический контроль со стороны зав. кафедрами, деканов и зам. директора по учебной и научной части за самостоятельной работой студентов.

7. В результате недопустимого невнимательного отношения со стороны дирекции к воспитательной работе, в Институте имеет место факты хулиганства; за хулиганство был исключен из Института студент Мурадян.

В Институте имеются также случаи массовых пропусков лекций со стороны студентов. За 1939/40 учебный год студентами пропущено лекций по физмат: по уважительной причине—1935 ч., по неуважительной причине—1331 час., итого 3266 час. В среднем на каждого студента приходится 137 часов, на физмат. факультете армянского сектора по неуважительной причине пропущено 2489 час., по неуважительной причине—2587 часов, итого 5076 час. В среднем на каждого студента 132 часа.

Учет посещаемости студентов ведется очень плохо. Надо полагать, что вышеуказанные цифры (о пропусках) снижены в виду неточного учета.

8. Студенты не обеспечены учебниками по введению в языкознание на национальных языках, по всеобщей истории, армянской литературе, теории литературы, физике, математическому анализу.

Отсутствие учебников крайне отрицательно повлияло на академическую успеваемость студентов.

9. В Институте не организованы: кабинет языка и литературы и педагогики, а кабинет марксизма-ленинизма оборудован крайне недостаточно.

10. Физический и химический кабинеты и лаборатории не обеспечены приборами и аппаратурой.

11. Библиотека Института нуждается в пополнении литературой классиков по различным научным дисциплинам на русском, армянском и азербайджанском и др. языках.

12. Не оформлены личные дела профессорско-преподавательского и учебно-вспомогательного персонала; в Институте нет основных документов, необходимых для установления заработной платы (об образовании, научной степени, ученого звания, стажа работы в вузе и т. д.).

13. Между директором Института тов. Тер-Ованесян и некоторыми работниками из числа профессорско-преподавательского состава Института установились нездоровые взаимоотношения, при чем со стороны ряда работников Института (Халилова, Хачатуряна, Алиева, Геворкяна, Беглярова и др.) имеет место недопустимая дискредитация директора Института, имеющая целью добиться снятия ее с должности директора Института. Наряду с этим со стороны директора Института тов. Тер-Ованесян в отдельных случаях имело место нетактическое отношение к некоторым работникам Института и студентам.

В целях устранения недостатков, имеющихся в работе Армяно - Азербайджанского учительского института и дальнейшего улучшения качества подготовки молодых специалистов, **приказываю:**

1) Обязать директора Института:

а) Осуществлять систематическое руководство и контроль над лекциями, консультациями и экзаменами; обеспечить своевременное выпрямление выявленных дефектов.

б) Ни в коем случае не допускать нарушения утвержденных учебных планов и полностью обеспечить своевременное выполнение их.

в) Осуществить оперативное руководство учебно-научной работой кафедр и наметить конкретные мероприятия по обеспечению своевременного выполнения тем, намеченных планом научных работ.

г) Усилить руководство профессорско-преподавательским составом и оказывать им помощь по повышению их квалификации.

д) До 15/IX с. г. привести в полный порядок личные дела профессорско-преподавательского состава Института.

е) Улучшить руководство над работой деканов факультетов и обеспечить внедрение плановости в их работе.

ж) Не допускать случаев назначения лекторов без согласования с НКПросом.

2. Обязать деканов и зав. кафедрами конкретно руководить и оказывать повседневную помощь профессорско-преподавательскому составу в улучшении постановки дела учебно-научной работы Института. С этой целью систематически посещать лекции, консультации и экзамены, периодически требовать информаций от педагогического персонала от-

носительно проводимой ими учебно-научной работы и принять меры по обеспечению проведения этой работы в будущем.

3. Обязать руководителей кафедр, деканов факультетов организовать систематический контроль над самостоятельной работой студентов, обратив особое внимание на изучение предметов по учебникам и учебным пособиям, а также на своевременное выполнение студентами домашних контрольных работ.

4. Обязать директора Института и руководителей кафедр обратить особое внимание на окончательную ликвидацию практики либерального отношения к оценке знаний студентов, повысить ответственность профессоров и преподавателей за качество преподавания и правильную оценку знаний студентов.

5. Обязать директора до 20/IX с. г. разработать мероприятия по организации политико-воспитательной работы студентов и профессорско-преподавательского состава. Обсудить эти мероприятия на Совете Института.

6. Директору Института тов. Тер-Ованесян М. И. за неудовлетворительное проведение принципов единоначалия в вузе и за слабый контроль и руководство над учебно-методической работой Института указать и предложить ей исправить указанные недостатки.

7. Зам. директора по научной и учебной части института тов. Халилова за слабую работу и дискредитацию директора Института снять с работы с оставлением на преподавательской работе в Институте.

8. Декана факультета языка и литературы Беглярова за слабое руководство над учебно-методической работой факультета снять с работы с оставлением на преподавательской работе в Институте.

9. За создание нездоровой атмосферы в Институте и дискредитацию директора Института и за невыполнение учебных планов освободить от преподавательской работы Геворкяна и Хачатуряна.

10. Декану физико-математического факультета Института тов. Алиеву за недостаточное руководство над учебно-методической работой факультета и за недисциплинированность, выразившуюся в отказе выполнить приказ директора Института о поездке в районы для обеспечения набора студентов в Институт, об'явить выговор.

11. Поручить управлению высшей школы до 25/VIII с. г. пересмотреть штат профессорско-преподавательского состава прошлого учебного года армяно-азербайджанского учительского института и полностью укомплектовать его, согласно утвержденным ВКВШ при СНК СССР штатам на 1940/41 учебный год новыми квалифицированными кадрами.

**Народный комиссар просвещения ГССР**
**Г. КИКНАДЗЕ.**

---

## ПОСТАНОВЛЕНИЕ КОЛЛЕГИИ НАРКОМПРОСА ГРУЗИНСКОЙ ССР
**17 июля 1940 года.**

### О РАБОТЕ СТАЛИНИРСКОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА

Коллегия Наркомпроса Груз. ССР отмечает, что в работе Сталинирского педагогического института, реорганизованного в текущем учебном году из двухгодичного учительского института в четырехгодичный педагогический ВУЗ с 4 факультетами, имеются достижения:

Выстроены: двухэтажный учебный корпус для института и студенческое общежитие на 80 человек.

Организованы кафедры по ряду учебных дисциплин.

Усилен профессорско - преподавательский состав, в котором ныне насчитывается 4 профессора.

Учебная работа института в некоторой мере улучшилась: повысилось качество лекций; сравнительно с прошлым годом лучше поставлено преподавание русского языка (Дзасохова Т. А.).

Однако, в работе института имеется ряд существенных недостатков:

1. Кабинеты марксизма-ленинизма, грузинского языка и литературы и педагогики недостаточно оборудованы.

2. Физический и химический кабинеты и лаборатории не обеспечены приборами и аппаратурой.

3. Библиотека института нуждается в пополнении литературой классиков по различ-

ным научным дисциплинам и журналам на русском, грузинском и др. языках. (Произведений классиков грузинской литературы и в библиотеке Института почти не имеется). Студенчество недостаточно обеспечено также учебными пособиями.

4. Во главе факультетов стоят деканы, не имеющие научной степени, ни профессорского звания, за исключением факультета языка и литературы. Из 10 кафедр, 4 кафедры возглавляются старшими преподавателями, а кафедры русского языка и литературы, осетинского языка и литературы и кафедры физики заведующих кафедрами вовсе не имеют.

5. Учебные планы и программы по некоторым дисциплинам литературного и географического факультета недовыполнены. Так, на втором курсе географического факультета из предусмотренных по учебному плану 687 часов прочитано 366 часов; на первом курсе русского отделения литфака из 1120 часов прочитан 1001 час.

6. В институте очень слабо осуществляется контроль над выполнением научно-исследовательских работ.

7. Кафедра основ марксизма - ленинизма недостаточно развернула работу по поднятию учебного процесса на должную высоту:

а) самостоятельная индивидуальная работа студентов над первоисточниками марксизма-ленинизма поставлена очень слабо;

б) некоторые члены кафедры (тов. Качарава) не дают полноценных лекций, проявляя либерализм при зачетах и экзаменах;

в) не практикуется взаимное посещение лекций членами кафедры и разбор на заседаниях кафедры и т. д.

Обилие дефектов в учебной и научной работе об'ясняется, главным образом, тем, что зам. директора по учебной части (тов. Кермаев) слабо руководит учебной и научной работой института.

8. Не оформлены личные дела профессорско - преподавательского и учебно - вспомогательного персонала, в институте не имеется основных документов, необходимых для установления заработной платы (об образовании, научной степени, ученого звания, стажа работы в вузе).

9. Слабо развернута массово-воспитательная работа среди студентов, вследствие чего дисциплина среди студенчества не стоит на должной высоте.

10. Плохо поставлено также культурно-бытовое обслуживание студентов. В общежитиях крайне тесно, не все общежития имеют электроосвещение и водопровод. Студенческая столовая не благоустроена, не имеет достаточного инвентаря, недостаточно снабжается продуктами.

В целях устранения отмеченных недостатков и улучшения работы Сталинирского государственного педагогического института, коллегия постановляет:

1. Обязать дирекцию Сталинирского Пединститута:

а) оборудовать и развернуть работу кабинетов и лабораторий физики, химии, основ марксизма-ленинизма, языка и других дисциплин, организовав при них квалифицированные консультации для студентов, помогая им в их самостоятельной индивидуальной работе по изучению первоисточников марксизма-ленинизма;

б) пересмотреть план научно-исследовательской работы на 1940/41 учебный год, увязав тематику с изучением актуальных вопросов социалистического строительства;

в) к 1 сентября сего года закончить ремонт и дооборудование общежития студентов и столовой;

г) осуществлять систематический контроль преподавательской работы членов кафедры и всемерно повышать идейно-политический и теоретический уровень преподавания;

д) в целях обеспечения института местными научными кадрами выделить лиц из лекторского состава и оказать им всемерное содействие в деле соискания ими ученой степени;

е) систематически заслушивать доклады зав. кафедрами на заседаниях совета института и усилить руководство и контроль кафедр со стороны учебно-научной части;

ж) рассмотреть на заседаниях совета института и утвердить к 1 сентября сего года план работы совета института, предусматривающий постановку отчетных докладов зав. кафедрами, проведение научных докладов по вопросам марксистско-ленинской теории;

з) в соответствии с постановлением СНК СССР, ЦК ВКП(б) и ВЦСПС о мероприятиях по упорядочению трудовой дисциплины, наметить мероприятия по укреплению производственной учебной дисциплины, как среди студенчества, так и среди профессорско-преподавательского состава.

4. В целях обеспечения высокого качества учебной и научно-исследовательской работы

Института, обязать заведующих кафедрами и деканов:

а) практиковать взаимное посещение лекций членами кафедр и разбор лекций на заседаниях кафедр;

б) зав. кафедрами систематически посещать лекции отдельных лекторов кафедры и, после разбора результатов проверки на заседании кафедры, намечать соответствующие мероприятия;

в) в начале же учебного года поручить лекторам разработку тем методического характера и представление их в письменной форме для заслушания на заседаниях кафедры;

г) всем зав. кафедрами разработать тематику научно-исследовательской работы, а также планы учебной и методической работы на 1940/41 учебный год;

д) наметить мероприятия на кафедрах по изжитию фактов либерализма при оценке знаний студентов.

5. Предложить Управлению высшей школы Наркомпроса Грузинской ССР обеспечить институт профессорско - преподавательскими кадрами.

6. Предложить Планово-финансовому управлению Наркомпроса Грузинской ССР до начала учебного года обеспечить Сталинирский государственный Пединститут средствами на оборудование кабинетов, лабораторий, библиотеки, научно-исследовательской работы в сумме 50.000 рублей.

7. В связи с тем, что Сталинирский учительский институт реорганизован в педагогический институт, учебный корпус и общежитие института не обеспечивают нормального хода работы института, предложить Управлению школьного строительства Наркомпроса Грузинской ССР:

а) предусмотреть в проекте плана капитального строительства 1940 года надстройку третьего этажа над зданием Сталинирского Пединститута;

б) постройку студенческого общежития на 300 человек;

в) постройку дома для профессорско-преподавательского состава в 15 квартир.

8. Просить наркомторг Грузинской ССР— тов. Донадзе—обязать Югосторг принять студенческую столовую Сталинирского Пединститута в свое ведение.

**Народный комиссар просвещения Грузинской ССР Г. И. КИКНАДЗЕ.**

პ/მგ. რედაქტორი ბ. კიზირია პ/მგ. მდივანი ს. ცაიშვილი

უე 3259 შეკვეთის № 3085 ტირაჟი - 5000

სტამბა გამ-ბა „ზარია ვოსტოკა-სი", რუსთაველის პრ. № 36.

[stamp]

# СБОРНИК № 10
## РАСПОРЯЖЕНИИ И ПРИКАЗОВ НАРКОМПРОСА ГССР

Типография „Заря Востока" Тбилиси пр. Руставели, 36

Зак. № 3085 УЭ 3259 Тираж 5.000

40-438
ეროვნული
ბიბლიოთეკა